# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
# წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ48. 48253634**

თარიღი:**29/12/2025**

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის“ საშტატო ნუსხისა და სახელფასო განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 26 თებერვლის №ბ48.48240574 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №გ-49.492536013 განკარგულების, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის“ (ს/კ 421283113) წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 01 აპრილის №ბ48.482409219 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტისა და „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის“ მმართველის 2025 წლის 22 დეკემბრის №34-4825356133 წერილის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის“ საშტატო ნუსხისა და სახელფასო განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 26 თებერვლის №ბ48.48240574 ბრძანებაში და ამ ბრძანებით დამტკიცებული

საშტატო ნუსხა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით დანართი №1-ის შესაბამისად.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის“ მმართველს (ლ.ნემსაძე).

3. ბრძანება ძალაში შევიდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი